ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

*ხელნაწერის უფლებით*

ირმა ბერძენიშვილი

# ქრისტიანობის გავრცელების საკითხი აფხაზეთში არქეოლოგიური მასალების მიხედვით (IV-VIII სს)

07.00.06 - არქეოლოგია

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2006

ნაშრომი შესრულებულია აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. **ვახტანგ ჯაფარიძე**
07.00.06 არქეოლოგია

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. **რამინ რამიშვილი**
07.00.06 არქეოლოგია

ოფიციალური
ოპონენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. **რამინ რამიშვილი**
07.00.06 არქეოლოგია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. **მარიკა მშვილდაძე**
07.00.03 მსოფლიო ისტორია

დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის 10 ოქტომბერს 13 საათზე
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის H.07.06.N3 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

მისამართი: 0102, თბილისი, დ. უზნაძის ქ. №14.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის 5 სექტემბერს.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია აკად. ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბიბლიოთეკაში (III სართული).

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ირ. ჯალაღანია

თემის აქტუალურობა. აფხაზეთის ადრექრისტიანული ძეგლები ნათლად წარმოადგენენ ამ მხარის კულტურულ ვითარებას მოცემულ პერიოდში. მიუხედავად იმისა რომ ამ რეგიონის სიძველეებისადმი ინტერესი დიდი ხანია არსებობს და არაერთი მკვლევარი დაინტერესებულა აღნიშნული საკითხით, დღეს მაინც რჩება ერთგვარი უკმარისობის გრძნობა ამ მხარის სრულად შესწავლასთან დაკავშირებით. ჩვენთვის საინტერესო პერიოდის (IV-VIII სს.) ძეგლთაგან ზოგიერთი ჯერაც არ გამხდარა არქეოლოგიური კვლევის ობიექტი. არსებულ ვითარებას განსაკუთრებით ართულებს დღეისათვის შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია. თუმცა, არქეოლოგიური გათხრები აფხაზეთში დღეს, და განსაკუთრებით, ბოლო ხუთი წლის განმალვობაში, საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს. 2002 წლიდან აფხაზეთში რუსულ-აფხაზური ექსპედიცია მუშაობს (ა. სკაკოვი, ვ. ერლიხი, გ. შამბა). ითხრება IV-VI სს-ის სამაროვანი აჭანდარაში ბორცვ ცოუხუაზე (ა. სკაკოვი, ა. ჯობუა, ო. ბრილოვა); აქამდე უცნობი ადრექრისტიანული ტაძარი ლიძავაში, ბიჭვინთის მახლობლად (რ. ბარციცი); სოხუმის ციხე და მისი მიმდებარე ტერიტორია (მ. აბრამზონი, დ. ბჟანია) და სხვ. ამ არქეოლოგიური გათხრების და მათი შედეგების შესახებ რეზიუმირებული ინფორმაციის მოძიება ძირითადად, მხოლოდ, რუსულ-აფხაზური ინტერნეტ-საიტებით არის შესაძლებელი.

დღეისათვის აფხაზეთში ადრექრისტიანული ხანის 26 არქიტექტურული ძეგლია გამოვლენილი, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო IV-VIII საუკუნეებში თავსდება. ქვემოთ თითოეულ მათგანს განვიხილავთ აღნიშნულ პუნქტებზე ცალ-ცალკე მსჯელობისას არქეოლოგიური მონაცემებისა და ძეგლის სტრატიგრაფიის გათვალისწინებით; ცალკე პარაგრაფი ეთმობა აფხაზეთის სამეკლესიან ბაზილიკებს, როგორც საერთო ქართულ არქიტექტურულ თემას, რომელიც აფხაზეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის არსებულ კონტაქტებზე მიუთითებს და აღნიშნულ პერიოდში ქართლსა და ეგრისს შორის საეკლესიო-კულტურული ერთიანობის მაჩვენებელია; შევეხებით აგრეთვე სამაროვნებსა და სამარხეულ მასალას; ნაქალაქართა და ნასახლართა ტერიტორიაზე გამოვლენილ სამზარეულო, სამეურნეო თუ სამშენებლო კერამიკას, რომლებიც ქრისტიანული სიმბოლოებითაა შემკული და რელიეფური სკულპტურის ძეგლებს, რომლებიც საეკლესიო ხუროთმოძღვრებას უკავშირდება.

უადრესი ეკლესიები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში უპირველეს ყოვლისა ზღვის სანაპიროზე არსებულ გამაგრებულ პუნქტებში ჩნდება. ეს პუნქტები რომაულ-ბიზანტიური პოლიტიკის საყრდენს წარმოადგენდა ამ რეგიონში. ქრისტიანობის გავრცელების საქმეში მნიშვლენოვანი როლი ითამაშა აქ რომაული გარნიზონების არსებობამ, რომელთა მიზანს, ერთი მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის მორჩილებაში ყოლა და, მეორეს მხრივ, ჩრდილოეთიდან მოძალებული მომთაბარე ტომების შემოსევებისაგან იმპერიის საზღვრების დაცვა წარმოადგენდა. ამასთან ცნობილია, რომ ბიჭვინთასა და სებასტოპოლისში ჩაყენებული გარნიზონები უმეტესად მცირეაზიელებით იყო დაკომპლექტებული. მცირე აზია კი ის რეგიონია, სადაც თავდაპირველად გავრცელდა ქრისტიანული იდეები და, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ მყოფ ჯარისკაცთაგან ბევრი იქნებოდა ამ იდეებს ნაზიარები. სწორედ ისინი უნდა ყოფილიყვნენ იმპულსების მიმცემნი ადგილობრივი მოსახლეობისთვის ახალი ქრისტიანული მსოფლმხედველობისა და იდეებისა. გარდა ამისა, აფხაზეთი, როგორც ცნობილია, რომის იმპერიისაგან დევნილი პირველი ქრისტიანების გადასახლების ადგილს წარმოადგენდა, რაც აგრეთვე ხელისშემწყობი ფაქტორი უნდა ყოფილიყო აქ ახალი მრწამსის გავრცელება-დამკვიდრების საქმეში.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. ნაშრომში პირველად არის თავმოყრილი, სისტემაში მოყვანილი და კომპლექსურად წარმოდგენილი აფხაზეთში XX საუკუნის განმავლობაში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილი ადრექრისტიანული ძეგლბი და შედარებითი ანალიზის საფუძველზე მოცემულია მათი განზოგადების ცდა. გამოყენებულია უახლესი ლიტერატურა, მათ შორის ინტერნეტ-პუბლიკაციები და დღემდე გამოუქვეყნებელი საველე ანგარიშები (დ. ბაქრაძე, ლ. შერვაშიძე, მ. გუნბა). მოცემულია მცდელობა, სისრულით წარმოჩინდეს აღნიშნულ რეგიონში არსებული რელიგიური ვითარება არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით. განათხარ ადრექრისტიანულ ძეგლებზე მსჯელობისას ძეგლის სამშენებლო თავისებურებათა გარდა ყურადღება თანადროულ არქეოლოგიურ მონაცემებსა და ძეგლის სტრატიგრაფიას ექცევა. მართალია, აფხაზეთის ძეგლები გარკვეული ლოკალური თავისებურებებით ხასიათდება, მაგრამ ამავე დროს საერთოს პოულობს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს თანადროულ ძეგლებთან, რადგან ისინი ერთ ეთნოკულტურულ წიაღშია შექმნილი.

ნაშრომის აპრობაცია. ნაშრომის ცალკეული საკითხები მოხსენებების სახით სხვადასხვა დროს წარმოდგენილი იყო არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო სესიებზე, ქრისტიანული არქეოლოგიის, ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკურ (ბათუმი) და თბილისის საერთაშორისო კონფერენციებზე; პრაღის საერთშორისო კონგრესსზე. დისერტაცია აპრობირებული და დაცვისათვის რეკომენდირებულია არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების ღია სხდომაზე (ოქმი ¹6, 05.IV.2006 წ.).

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავისაგან, რომელიც პარაგრაფებად არის დაყოფილი და დასკვნისაგან. ნაშრომს თან ახლავს მითითებული ლიტერატურის სია, შემოკლებათა განმარტება, ტაბულების აღწერილობა, 18 ტაბულა და ერთი ფერადი რუკა.

შესავალი. შესავალ ნაწილში საუბარია თემის აქტუალურობაზე და მიმოხილულია საკითხის ირგვლივ არსებული პრობლემები.

## თავი I. საკითხის ისტორიოგრაფია და წერილობითი წყაროები

### §1. აფხაზეთის ადრებიზანტიური ხანის ძეგლების შესწავლის ისტორია

ჩრდილო-დასავლეთ ლაზიკის – აფხაზეთის, ადრებიზანტიური ხანის ძეგლების არქეოლოგიური კვლევა XX საუკუნის შუა ხანებიდან იწყება, თუმცა, აფხაზეთის სიძველეებისადმი ინტერესი დიდი ხანია არსებობს. XVII საუკუნიდან დაწყებული, არაერთი უცხოელი მოგზაური, მისიონერი თუ მეცნიერი დაინტერესებულა ამ მხარით; მაგრამ ეს ინტერესი მიწის ზედა, ძირითადად განვითარებული შუა საუკუნეების არქიტექტურული ძეგლების აღნუსხვა-აღწერითა და ჩანახატებით შემოიფარგლებოდა.

XIX ს-ის ბოლო – XX ს. პირველი ნახევარი ძირითადად მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრებით და დაზვერვითი სამუშაოებით აღინიშნა (დ. ბაქრაძე, პ. უვაროვა, ა. მილერი, ა. ბაშკიროვი, ლ. სოლოვიოვი, ი. აძინბა, ი. გრძელიშვილი).

XX ს-ის 50-იანი წლებიდან იწყება მასშტაბური არქეოლოგიური გათხრები. კომპლექსურად ითხრება ანაკოფია, სოხუმის ციხე, ბაგრატის მთა (მ. თრაფში). აფხაზეთში მომუშავე არქეოლოგიური ექსპედიციებიდან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის ფასდაუდებელი

ღვაწლი, რომელიც 1952 წლიდან იწყებს ბიჭვინთის არქეოლოგიურ შესწავლას (ა. აფაქიძის ხელმძ., 1975 წლიდან გ. ლორთქიფანიძის ხელმძ.). ჩატარებული მრავალწლიანი გათხრების შედეგად გამოქვეყნდა "დიდი პიტიუნტის" სამი კრებული. გამოვლინდა ბიჭვინთის კასტელუმი და კანაბე, საკმაოდ ვრცელი სამაროვანი, ადრექრისტიანული ტაძრები და ა.შ. რომელთან დაკავშირებითაც მრავალრიცხოვანი ლიტერატურა შეიქმნა (ა. აფაქიძე, გ. ლორთქიფანიძე, ი. ციციშვილი, თ. მიქელაძე, ზ. აგრბა, ლ. მაცულევიჩი და სხვ.). 1958-59 წლებში მიმდინარეობდა სებასტოპოლისის რომაული ციხის გათხრები (ა. აფაქიძე, ო. ლორთქიფანიძე, ვ. ლექვინაძე, მ. თრაფში, ლ. სოლოვიოვი, ლ. შერვაშიძე).

1968-69 წლებში მოეწყო პირველი არქეოლოგიური კამპანია გუდავაში (ისტორიული ზიღანეოსი). სხვადასხვა პერიოდის მასალებთან ერთად გამოვლინდა გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის მასალები და ბაპტისტერიუმი (პ. ზაქარაია, ვ. ლექვინაძე).

1960 წელს იწყება მთიანი აფხაზეთის არქეოლოგიური შესწავლა. ითხრება გვიანანტიკური და ადრებიზანტიური ხანის სამაროვნები და ნამოსახლარები წებელდაში (მ. თრაფში, ი. ვორონოვი, მ. გუნბა, გ. შამბა). წებელდის საინტერესო მასალამ მკვლევართა დიდი ყურადღება მიიპყრო, შედეგად წებელდაში გვიანანტიკური ხანის თავისებური არქეოლოგიური კულტურა გამოიყო. 1977-79 წლებში წებელდის ციხეში გაითხარა ორი ადრექრისტიანული ხანის ეკლესია. 1982 წელს იგივე წებელდაში, დასახლება მრამბაში, აღმოჩნდა დარბაზული ეკლესია და არქიტექტურული დეტალები ადრექრისტიანული სიმბოლოებით. 1983 წელს ო. ბგაჟბას მიერ ითხრება შაპკის ციხე და ეკლესია (VI ს.).

1976 წელს ლ. შერვაშიძე გათხრებს აწარმოებს აბაანთის ციხეში. შედეგად გამოვლინდა სამეკლესიანი ბაზილიკა. სწორედ მისი დამსახურებაა აფხაზეთის ტერიტორიაზე პირველად სამეკლესიანი ბაზილიკის აღმოჩენა და განსაზღვრა. აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ამ ტიპის ძეგლები განხილული აქვთ თავის ნაშრომებში ლ. რჩეულიშვილს, ვ. ბერიძეს, დ. თუმანიშვილს.

დიდი წვლილი მიუძღვის ადრექრისტიანული ძეგლების შესწავლის საქმეში ლ. ხრუშკოვას. 70-იანი წლების ბოლოდან იგი აქტიურად იყო ჩართული ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ძეგლების გამოვლენა–შესწავლის საქმეში. 1977-79 წლებში მონაწილეობდა წებელდის ციხის საკულტო კომპლექსის გათხრებში. 1980 წელს მის

მიერ ითხრებოდა განთიადის (ცანდრიფში) ბაზილიკა. იმავე 1980 წელს მან დაზვერა და აზომა ეკლესია ხაშუფსეს ციხეში. 1980-85 წლებში მონაწილეობდა გიენოსის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ადრებიზანტიური ეკლესიის გათხრებში. 1985-86 წლებში იგი განაგრძობს ზ. აგრბას მიერ დაწყებული ალაჰაძის ხუროთმოძღვრული კომპლექსის შესწავლას, გაითხარა მესამე, ყველაზე დიდი ბაზილიკა. 1987-89 წლებში კი მ. გუნბასთან ერთად მონაწილეობდა ანტიკური სებასტოპოლისის გათხრებში, გამოვლინდა ადრექრისტიანული ხანის ეკლესია. მისი სადოქტორო დისერტაციაც ადრექრისტიანული ძეგლების კვლევას მიეძღვნა.

ქრისტიანული არქეოლოგიისადმი ინტერესი ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებით გაიზარდა. მაგალითად არქეოლოგიური კვლევის ცენტრში 1992 წლიდან სისტემატურად იმართება ქრისტიანული არქეოლოგიისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციები და ა.შ.

## § 2. წერილობითი წყაროები

საეკლესიო ტრადიციით დასავლეთ საქართველოში ქრისტიანიზაციის დასაწყისი მოციქულთა ხანას უკავშირდება. ახალი რელიგიის პირველ მქადაგებლებად აქ ანდრია პირველწოდებული, სიმონ ქანაანელი (დაკრძალულია ანაკოფიაში), მატათა (დაკრძალულია გონიოში), ბართლომე და თომა გვევლინებიან (ა. ჯაფარიძე). ეს გადმოცემა, რომელიც III და IV სს-ის ავტორებს მიეწერება, ცხადია იმის მაჩვენებელია, რომ ქრისტიანობას დასავლეთ საქართველოში უძველესი ტრადიცია ჰქონდა.

მნიშვნელოვან წერილობით წყაროს დასავლეთ საქართველოში საეკლესიო ორგანიზაციის არსებობის შესახებ წარმოადგენს 325 წლის ნიკეის პირველი მსოფლიო კრების მონაწილეთა ნუსხა, სადაც მოხსენებულნი არიან პოლემონის პონტოს ეპარქიათა წარმომადგენელნი, მათ შორის პიტიუნტის ეპისკოპოსი სტრატოფილე (გეორგოკა).

მნიშვნელოვან წერილობით წყაროს წარმოადგენს ბიზანტიელი მწერლის პროკოპი კესარიელის თხზულებები. იგი აბაზგებისა და აფსილების საზოგადოებრივი ვითარებისა და მათი გაქრისიტანების შესახებ გვაწვდის ცნობას (Procop. De BG, VIII,2,3).

აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს თეოდორიტე კვირელის (393-457/8) "საეკლესიო ისტორია", სადაც

დაცულია ცნობა ლაზების, სანებისა და აბაზგების გაქრისტიანებისა და იოანე ოქროპირის ბიჭვინთაში გადასახლების შესახებ (გეორგიკა).

საინტერესო ცნობას გვაწვდის თეოდოსი განგრელი (VII ს.), იერუსალიმელი მონაზონი. მის სახელთან დაკავშირებულია მაქსიმე "აღმსარებლის" ცხოვრების უკანასკნელი წლების შესახებ ცნობების შემცველი თხზულებების გამოქვეყნება და აგრეთვე საკუთარი, 668/669 წლით დათარიღებული, მოგონების დაწერა მაქსიმეს შესახებ (А. Б рилиантов).

დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ორგანიზაციის სისტემის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ბიზანტიის საეკლესიო ცენტრების ნუსხები, ე.წ. ეკთეზისები (უძველესი VII ს.), რომლებშიც კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ კათედრათა შორის ნახსენებია დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცენტრებიც, მათ შორისაა აბასგიაში - სებასტოპოლის არქიეპისკოპოსი და ფაზისის მიტროპოლიტისადმი დაქვემდებარებული ზიღანევის (გუდავა) ეპისკოპოსი (გეორგიკა).

## თავი II. აფხაზეთის ზღვისპირა ძეგლები

### § 1. ბიჭვინთა და მისი “ქვეყანა”

ბიჭვინთა უაღრესად რთულ და საინტერესო ძეგლთა კომპლექსს წარმოადგენს. დასახლებათა ეს სისტემა ქალაქის ზღუდის გარეთაც ფართოდ ვრცელდება, რაც, რათქმაუნდა, ქალაქის ეკონომიკურ “ქვეყანაში” მოსახლეობის გარკვეულ კონცენტრაციას გულისხმობს. სწორედ ამაზე მეტყველებს მრავალწლიანი არქეოლოგიური გათხრების შედეგად ბიჭვინთის კონცხზე გამოვლენილი ტაძრების სიმრავლე, რაც იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ სამწყსოს ძირითად კონტიგენტს არა მხოლოდ რომაელი ჯარისკაცები და მათი ოჯახის წევრები, არამედ ადგილობრივი მოსახლეობაც შეადგენდა. უშუალოდ გალავნის შიგნით, ე.წ. III უბანზე, 4 სხვადასხვა დროის ეკლესიის ნანგრევებია დადასტურებული, რომლებიც ერთიმეორეზეა დაშენებული. ბიჭვინთის ამ ადრექრისტიანულ ტაძრებთან დაკავშირებით მრავალრიცხოვანი ლიტერატურა არსებობს, სადაც ეს ძეგლები, მათ შორის მოზაიკა, სხვადასხვაგვარადაა დათარიღებული, მაგრამ ძირითადი ქრონოლოგიური ჩარჩო IV-VI სს-ებით არის განსაზღვრული.

ნაქალაქარის ე.წ. ეკლესიების უბნის, III ნაკვეთის, სტრატიგრაფიულ სურათში გარკვეული სიცხადე შეიტანა 1970-73 წლების საველე სამუშაოებმა, დადასტურდა ურთიერთმონაცვლე 5 სამშენებლო დონე (ა, აფაქიძე). ბიჭვინთის უძველესი ეკლესია (ქვემოდან II სამშენებლო დონე) წარმოადგენს დარბაზულ ნაგებობას, ნახევარწრიული აფსიდით შენობის მთელ სიგანეზე. ეკლესიის აფსიდაში აღმოჩნდა ადრექრისტიანული სიმბოლოებით შემკული მინის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომელიც IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება (ნ. უგრელიძე). ძეგლის უახლოესი ანალოგია ნოქალაქევის უძველესი ბაზილიკა, IV ს. პირველი ნახ. (პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე).

IV ს-დან ბიჭვინთა მძლავრ აღმავლობას განიცდის, რაც კარგად დასტურდება არქეოლოგიური მონაცემებით; განსაკუთრებით აღსანიშნავია ნუმიზმატიკური მასალის უჩვეულო სიუხვე (500-ზე მეტი მონეტა), რომელთა უმრავლესობა ანტიოქიაშია მოჭრილი (104), რაც კარგად ადასტურებს მჭიდრო ეკონომიკურ კავშირს ორ ადრექრისტიანულ ცენტრს – ანტიოქიასა და ბიჭვინთას – შორის; თითქმის თანაბარი რაოდენობითაა წარმოდგენილი მცირე აზიის ქალაქების: ნიკომედიის (48), ქიზიკისა (44) და კონსტანტინოპოლის (40) საფასეები. საინტერესოა, რომ IV ს-ის მონეტებიდან არც ერთი ცალი არაა მოჭრილი საკუთრივ რომის ზარაფხანაში (გ. დუნდუა). სწორედ ამ უჩვეულო აღმავლობის პერიოდში იგება მოზაიკურიატაკიანი ბაზილიკა (ქვემოდან III სამშენებლო დონე), რომელიც უძველეს ბაზილიკაზეა დაშენებული და წარმოადგენს დიდ სამნავიან ნაგებობას ხუთწახნაგოვანი ასიმეტრიული აფსიდით და ნართექსით, სადაც სანათლავია გამართული, მარმარილოს სვეტებით და მდიდარი მორთულობით. ეს ბაზილიკა შესაძლოა IV ს-ის პირველ მეოთხედში აიგო და იგი სტრატოფილე ბიჭვინთელის რეზიდენციას წარმოადგენდა.

IV ს-ის შუა ხანებში ბიჭვინთამ დიდი ნგრევა განიცადა, პირველი მოზაიკურიატაკიანი ბაზილიკა მთლიანად დანგრეულია, მაგრამ იმავე IV ს-ში ტაძარი კვლავ აღუდგენიათ: იცვლება აფსიდის ფორმა, იქმნება ხუთწახნაგოვანი შვერილი აფსიდა, მცირდება ტაძრის ნართექსი, მარმარილოს სვეტებს ცვლიან ბურჯები აგურის შრეების დატანებით.

IV ს-ის ბოლო მესამედში ბიჭვინთა ძირფესვიანადაა აოხრებული, ტაძარიც სრულიად განადგურებულია, იგი უკვე აღარ აღუდგენიათ, შუა და ჩრდილოეთ ნავში ხუთი ადრექრისტიანული სამარხია ჩაშვებული.

VI ს-ის პირველ მესამედში ბიჭვინთაში ცხოვრება კვლავ გამოცოცხლდა, აშენდა ყველაზე ზედა სამშენებლო დონის კუთვნილი დარბაზული ეკლესია სამწახნაგოვანი შვერილი აფსიდით და ნართექსით, რომელიც იმავე საკუნის 40-იან წლებში, სპარსეთ-ბიზანტიის ომის დროს ბიზანტიელების მიერვე იქნა დანგრეული ქალაქის გალავანთან ერთად.

ნაქალაქარის ზღუდის გარეთ, ჯერ კიდევ ქალაქის ფუნქციონირების პერიოდში ჩნდება დასახლება. X ს-ის საკათედრო ტაძრის დასავლეთით 40 მ-ის მანძილზე გაითხარა ადრექრისტიანული ტაძრების კიდევ ერთი კომპლექსი, სადაც ორი სამშენებლო პერიოდი გამოიყო. პირველი პერიოდი V-VI სს-ით თარიღდება, ესაა მცირე დარბაზული ტიპის ნაგებობა შვერილი ნახევარწრიული აფსიდით, მეორე კი – სამაფსიდიანი ბაზილიკა, VI-VII სს. ეკლესიის აღმოსავლეთით ისევე, როგორც თავად ტაძარში დადასტურდა რამდენიმე უინვენტარო ადრექრისტიანული სამარხი.

ბიჭვინთის ნაქალაქარიდან სამხრეთით 400-500 მ მანძილზე გაითხარა VI ს-ის ორაფსიდიანი ეკლესია, გეგმაში სწორკუთხედის ფორმის, აღმოსავლეთით ორი, სრულიად ტოლი გაზიდული ხუთწახნაგოვანი აფსიდით.

ბიჭვინთის კონცხს განეკუთვნება კიდევ ერთი ხუროთმოძღვრული კომპლექსი სოფ. ალაჰაძეში. არქეოლოგირი გათხრების შედეგად გამოვლენილია სამი ეკლესია სხვადასხვა პერიოდისა. №1 ეკლესია დიდი სამნავიანი ბაზილიკაა შვიდწახნაგოვანი ცენტრალური და ნახევარწრიული გვერდითი აფსიდებით. საყრდენ ფუნქციას ასრულებდა მასიური ბოძების 5 წყვილი. ნაგებია opus mixtum-ის ტექნიკით. გამოყენებულია თავისებური ელემენტი - კერამიკული ყუთები. ახასიათებს ელინისტური ტიპის ბაზილიკის ნიშნები. ძეგლი VI ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება. ალაჰაძის №2 ეკლესია №1 ეკლესიის რეკონსტრუქციის შედეგად წარმოიშვა. №2 ეკლესიამ დაიკავა №1 ეკლესიის მხოლოდ ცენტრალური ნავი. ეს სამნავიანი კამაროვანი ბაზილიკაა, ერთი აფსიდით. თარიღდება VIII-IX სს-ით. ალაჰაძის №3 ეკლესია X ს-ის ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა (Л. Хрушкова). ალაჰაძის არქიტექტურულ კომპლექსში კარგად აისახა აფხაზეთის საკულტო ხუროთმოძღვრების ევოლუციის ძირითადი ხაზები: ელინისტური ტიპის

ბაზილიკიდან ვითარდება კამაროვანი ბაზილიკა, აქედან კი - ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობა, რომელიც შემდგომში წამყვან და გაბატონებულ ტიპად იქცა.

კიდევ ერთი, ადრე შეუსწავლელი, ადრექრისტიანული ტაძარი გაითხარა 1995 წელს ბიჭვინთის მახლობლად სოფ. ლიძავაში. გეგმა სრულად არ იკითხება. ტაძრის შიგნით გაითხარა რამდენიმე სამარხი, აქვე აღმოჩნდა ერთი რკინის და ერთიც ბრინჯაოს გულსაკიდი ჯვარი, არქიტექტურული დეტალები, ფილაქვა ჯვრის გამოსახულებით. თარიღდება IV-V სს-ით (Р. Барцыц).

ბიჭვინთის ნაქალაქარსა და ბიჭვინთის "ქვეყანაში" გამოვლენილი ქრისტიანული ტაძრების სიმრავლე, რათქმაუნდა, ადგილობრივ მოსახლეობაზე ქრისტიანული თემის გავლენის ზრდისა და გარკვეული დემოგრაფიული აღმავლობის მანიშნებელია.

## § 2. სებასტოპოლი – ცხუმი

სოხუმის გეგმაზომიერი არქეოლოგიური შესწავლა 50-იანი წლებიდან დაიწყო და შეუნელებელი ინტერესით გრძელდება დღესაც. 1987-1990 წლებში სოხუმის ე.წ. "თურქული ციხის" ტერიტორიაზე მ. გუნბას მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლინდა ეკლესიის ნაშთი, რომლის გეგმა სრულად არ იკითხება. ესაა სამნავიანი ეკლესია ხუთწახნაგოვანი აფსიდით. აფსიდის ირგვლივ, ასიმეტრიულად, ოთხკუთხა ბოძებია (8) გამართული (М. Гунба). მოპირკეთებაში გამოყენებულია opus sectile-ის წყობა, პროკონესული მარმარილოს პატარა ფილებისა და აგურების მონაცვლეობით (L. Khrushkova). საყურადღებოა, რომ ეკლესიის გათხრებისას აღმოჩნდა კრამიტის ფრაგმენტი ლეგიონერთა ვექსილაციით XV Legio Apollinaris და საფლავის ქვა ბერძნული წარწერით: "აქ განისვენებს ჯარისკაცი-ლეგიონერი ორესტი, რომლის მოსაგონრადაც აღვმართეთ ეს ეკლესია" (А. Габелия, В. Вертоградова). აქვე გაითხარა ოთხი აგურით ნაგები ქრისტიანული სამარხი. სავარაუდოდ, ეკლესია VI ს. აგებული.

სოხუმის ციხეზე გამოვლენილია აგრეთვე ქრისტიანული სიმბოლოებით (ქრიზმა, ჯვარი) შემკული კერამიკული ნაწარმი. ფენა იუსტინიანეს დროინდელი 544-545 წწ-ში მოჭრილი ბრინჯაოს მონეტით თარიღდება. ამავე ფენაში აღმოჩნდა ანასტასიუს I (491-518 წწ.) და იუსტინიანე II (565-578 წწ.) კონსტანტინოპოლში მოჭრილი ბრინჯაოს მონეტა, იუსტინიანე II და სოფიას (574-5 წწ.) მიერ

თესალონიკეში მოჭრილი ბრინჯაოს მონეტა და კაბადოკიის კესარიაში მოჭრილი მონეტა არა უგვიანეს III ს-სა (М. Гунба, Л. Хрушкова).

VI საუკუნის 40-იანი წლებიდან, ბიჭვინთა, როგორც ქრისტიანული ცენტრი, კარგავს თავის პირველობას. როგორც ჩანს, სწორედ ამ დროს დაწინაურდა სებასტოპოლისი, როგორც საეკლესიო ცენტრი, რომელიც VII ს. საეკლესიო ნუსხაში მოხსენებულია, როგორც სებასტოპოლის საეპისკოპოსო, შემდეგ კი ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსო. სებასტოპოლისის დაწინურება მისი გეოგრაფიული მდებარეობით იყო განპირობებული. სებასტოპოლისიდან გზა კოდორის ხეობით გადიოდა ჩრდილოეთ კავკასიაში (ს. ჯანაშია). როგორც ჩანს, ამ გზამ დიდი როლი ითამაშა, განსაკუთრებით VI საუკუნიდან, სებასტოპოლისის დაწინაურებაში, რადგან ე.წ. “აბრეშუმის გზის” ჩრდილოეთით გადანაცვლების შემდეგ ვაჭრები ჩრდილოეთი კავკასიიდან შავ ზღვაზე მდ. კოდორით გადიოდნენ და აქ მთავარი ნავსადგური სებასტოპოლისი იყო.

### § 3. ოჩამჩირე – გიენოსი

ოჩამჩირე, ანტიკური წყაროების გიენოსი (მდებარეობს ქ. სოხუმიდან 55 კმ სამხრეთით მდინარეებს აბიკვარასა და ღალიძგას შორის) შავიზღვისპირეთის უძველეს ქალაქთა რიცხვს განეკუთვნება. ეს პუნქტი უკვე ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრიდანაა დასახლებული. მას, როგორც “ელინურ ქალაქს” იხსენიებს ფსევდო სკილაქსი. მისი დაარსება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ბერძნული ახალშენების გაჩენას უკავშირდება და უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს ძვ. წ. VI საუკუნისა (С. Шамба, Г. Шамба). ცხოვრება აქ გვიან ანტიკურ ხანაშიც გრძელდება. ადრებიზანტიურ ხანაში ნაქალაქარის აღმოსავლეთ ბორცვზე იგება დარბაზული ტიპის ეკლესია ნახევარწრიული აფსიდით, რომლის ნაოსი მინაშენებითაა გართულებული, შედეგად ეკლესიას გეგმაში ჯვრის ფორმა აქვს, რითაც იგი კაბადოკიის “croix libre” ტიპის ძეგლებს უახლოვდება (Buzluk, Çanlikilise, VI ს. დასაწყისი). დასავლეთით ეკვრის ნართექსი. ეკლესია, ნართექსის გარდა, აგურით, ნართექსი კი ნაწილობრივ opus mixtum-ის ტექნიკითაა ნაგები. ეკლესიის თანადროული არქეოლოგიური მასალაა: დიდი ოდენობით გამოვლენილი სამშენებლო აგური, რომელზეც ხშირია გამოწვამდე თითით დატანილი სხვადასხვა ასო-ნიშნების, ირიბი ჯვრების თუ ოვალური წრეების გამოსახულება; მინის

ჭურჭლის ფრაგმენტები (ნ. სოროკინას მიხედვით IV-V სს.); სარკმლის მინა; წელშეზნექილი ამფორისა და კრამიტის ფრაგმენტები; ოქროს ჯვარი; თეთრი მარმარილოს სვეტისა და ადგილობრივი მუქი კირქვისგან დამზადებული კანკელის ფრაგმენტები. ეკლესიის ყველა ნაწილში, აფსიდის გამოკლებით, გაითხარა 14 ქრისტიანული სამარხი. აფსიდის გარეთ კი 8 სამარხი. ისინი ძირითადად აგურითაა ნაგები. მსგავსი ტიპის თიხის ფილასამარხები ჩვენთვის ცნობილია მცხეთაში და მის მიდამოებში (სამთავროს სამაროვანი, კოდმანი, კარსნისხევი, არმაზისხევი), აღაიანსა და ხოვლეში, რომლებიც II ს-ის მეორე ნახევარი - IV სს-ებით თარიღდება (Т. Бибилури; გ. მანჯგალაძე). არსებული მასალების შეჯერების საფუძველზე გიენოსის ეკლესია V ს-ის ბოლო - VI ს-ის დასაწყისით თარიღდება.

## § 4. ანაკოფია - "თავადი ციხეთა აფხაზეთისათა"

ანაკოფია ანუ ფსირცხა, "მატიანე ქართლისაის" სიტყვით - "თავადი ციხეთა აფხაზეთისათა", მდებარეობს ახალი ათონის ტერიტორიაზე. VII-VIII სს-ში იგი აბაზგთა საერისთაოს პოლიტიკური ცენტრი იყო. ჩვენს წყაროებში (იგივე "მატიანე ქართლისაიში") პირველად იხსენიება VIII ს-ის ამბებთან დაკავშირებით, როცა მისი აღება ამაოდ სცადა მურვან-ყრუმ. VIII ს-ის დასასრულიდან, როცა აფხაზთა სამეფო შეიქმნა, ანაკოფია მისი მთავარი ქალაქი გახდა და მნიშვნელობა არ დაუკარგავს არც მას შემდეგ, რაც სამეფოს დედაქალაქმა ქუთაისში გადაინაცვლა.

ძველი ანაკოფიის ციტადელი (IV-V სს.) ივერიის მთის თხემზე მდებარეობს. ანაკოფიის ციტადელის შუაში ჩრდილოეთის კედელთან დგას ანაკოფიის დარბაზული ტიპის ეკლესია. თავის დროზე იგი ა. ბაშკიროვის მიერ იყო აღწერილი და გამოკვლეული და VIII ს-მდე დროით დათარიღდებული. ტაძარს არაერთი გადაკეთების კვალი ეტყობა. პირვანდელი სახით მხოლოდ საკურთხევლის ნაწილია შემორჩენილი (ნახევარწრიული აფსიდა). იგი კირქვისგან არის ნაგები, რომელსაც ბრტყელი აგურის რიგები დაჰყვება (М. Трапш). სწორედ ამ ეკლესიას უკავშირდება ანაკოფიის რელიეფები ადრექრისტიანული სიუჟეტებით.

1957 წ. 13 კოშკის ჩრდილოეთით გაითხარა კიდევ ერთი დარბაზული ტიპის ეკლესია ნახევარწრიული აფსიდით. აქვე აღმოჩნდა ადრე შუა საუკუნეთა ხანის რვა ქრისტიანული სამარხი. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილი იყო: ზარაკის მაგვარი საკიდებით, ბრინჯაოს სარკით, სფერული ფორმის ბრინჯაოს და პასტის

თვალა მძივებით, ბრინჯაოს სამაჯურით და რკინის დანებით. ტაძარში გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა სხვადასხვა დროინდელია. ესაა ძირითადად კერამიკის, კრამიტისა და მინის ჭურჭლის ფრაგმენტები (VII-XII სს.). მათ შორისაა კერამიკის ფრაგმენტი, რომელზედაც დამღით ჯვარია დატანილი (М. Трапш). ანაკოფიის ციხეში გამოვლენილი ეკლესიები არქეოლოგიურ მონაცემებზე და ციტადელის თარიღზე დაყრდნობით ადრექრისტიანული ხანით უნდა დათარიღდეს, ამის სასარგებლოდ მეტყველებს შემორჩენილი ხუროთმოძღვრული დეტალებიც.

## § 5. გუდავა – ზიღანეოსი

გუდავა მდებარეობს ოჩამჩირიდან ათიოდ კმ სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. ოქუმის შესართავთან მარცხენა სანაპიროზე (გალის რ-ნი). ნ. ბერძენიშვილის მიერ ეს პუნქტი გაიგივებულ იქნა ძველ წყაროებში მოხსენებულ “გუდაყვასთან”. გუდაყვა კი “მატიანე ქართლისაის” მიხედვით, ცნობილია როგორც “ზიღანეოსი”. პირველად ზიღანეოსი იხსენიება III და IV სს-ის მიჯნის ამბების აღწერისას “ორენტის მარტვილობაში”, რომლის მიხედვით, იმპერატორ დიოკლიტიანეს მმართველობის ეპოქაში, ქრისტიანთა დევნის დროს ზიღანეოსში დაკრძალეს ორენტის ერთ-ერთი თანამოღვაწე – კირიაკი.

დღეისათვის გუდავის ტერიტორიაზე მხოლოდ ბაპტისტერიუმია არქეოლოგიურად დადასტურებული. ეს არის მცირე ზომის სწორკუთხა ნაგებობა ნახევარწრიული შვერილი აფსიდიდ. ბაპტისტერიუმის მიდაოებში (50-100 მ) გამოვლენილია დიდძალი არქეოლოგიური მასალა, მათ შორისაა: რომაული წითელლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, ადგილობრივი გვიანანტიკური ყავისფერკეციანი ამფორები (IV-V სს.), ყვითელ და წითელკეციანი იმპორტული ამფორები, “ხალიანი მინის” ფრაგმენტები, IV ს-ის 16 სპილენძის მონეტა კონსტანტინე დიდისა და ლიცინიუსის სახელზე მოჭრილი (პ. ზაქარაია, ვ. ლექვინაძე). არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით ბაპტისტერიუმი შესაძლოა IV - V სს-ით დათარიღდეს.

## § 6. განთიადი

განთიადის, იგივე ცანდრიფშის ბაზილიკა მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე სოფ. განთიადში, ქ. გაგრიდან 14 კმ ჩრდილო-დასავლეთით. ძეგლი

წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას, სამი წინ გამოზიდული აფსიდით. ნაგებობას თავდაპირველად ნართექსიც ჰქონია. ბაზილიკა ნაგებია საშუალო ზომის სწორი ფორმის ადგილობრივი კირქვის კვადრებით. განთიადის ბაზილიკის კამარაში და კონქაში ჩაშენებული იყო კირხსნარით შედუღაბებული ამფორები. მათი რიცხვი ორ ათეულს აღემატება. ეს მეთოდი ტრადიციული იყო რომაულ-ბიზანტიური არქიტექტურისთვის და იგი ძირითადად კამარის კონსტრუქციის შემსუბუქების მიზნით გამოიყენებოდა. ამფორები ბაზილიკის თანადროულია და VI ს-ით თარიღდება.

ბაზილიკაში 15 ქრისტიანული სამარხი გაითხარა. სამარხები შეიძლება ორ ტიპად დაიყოს. პირველ ტიპს წარმოადგენენ წვრილი ქვით, დუღაბით, კრამიტითა და აგურით ნაგები სამარხები, რომელიც ქვის ფილებით იყო გადახურული. სამარხთა მეორე ტიპი მხოლოდ ქვითაა ნაგები და არც ერთ მათგანს ძირი არა აქვს. სამარხეული ინვენტარი ძირითადად წარმოდგენილია მინის ჭურჭლით. ეკლესიაში გამოვლინდა აგრეთვე დეკორატიული მარმარილოს (სავარაუდოდ პროკონესული) 70 ფრაგმენტი. ერთ-ერთ მათგანზე შემორჩენილია ბერძნული წარწერა: CΓIAC (Л. Хрушкова).

განთიადის ბაზილიკის თავისებურებაა აღმოსავლეთ ნაწილის არქაული ნიშნები, დაბალი არდაბაგი, მსგავსად სირიისა და მცირე აზიის ბაზილიკებისა, ამავე დროს, გამოყენებულია კონსტანტინოპოლური ტიპის ამბიონის დეტალები, რაც ამ რეგიონში, როგორც ქრისტიანული აღმოსავლეთის, ისე კონსტანტინოპოლის გავლენებზე მიუთითებს (И. Завадская). სამი აფსიდის არსებობა, ცენტრალური აფსიდა ბემით, შემოკლებული ზომები - უფრო განვითარებული ეტაპისთვის დამახასიათებელი ნიშნებია. არქეოლოგიური მასალები - სამარხთა ტიპები, ხუროთმოძღვრული დეკორატიული დეტალები, ამფორები და მინის ჭურჭელი - VI ს-ით უნდა დათარიღდეს, ამავე დროით თარიღდება ეკლესიაც.

## § 7. აფხაზეთის სამეკლესიანი ბაზილიკები

არქიტექტურული თემა "სამეკლესიანი ბაზილიკისა" უგუმბათო ტაძრის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს. გარეგანი ფორმებით იგი სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს, მაგრამ შიგნიდან, როგორც სივრცის ორგანიზებით, ისე კონსტრუქციული აზრით, სრულიად განსხვავდება ბაზილიკისაგან, რადგან

სვეტების თუ საბჯენების ნაცვლად, რომელიც ბაზილიკის შიდა სივრცეს ნავებად ჰყოფს, აქ კედლები ჩნდება. ბაზილიკის ეს ტიპი უცხო არ არის სხვა ქვეყნებისთვისაც, მაგრამ, როგორც გ. ჩუბინაშვილი განმარტავს, მხოლოდ ჩვენში მიიღეს ამ ტაძრებმა სახე განსაზღვრული დამოუკიდებელი ტიპისა. ამ სახის ძეგლების შემოქმედებითი განვითარების საფუძვლად მიჩნეულია კახეთი. აქ სამეკლესიანი ბაზილიკის ორ ათეულამდე ძეგლია შემონახული; მით უფრო ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ამ ტიპის ძეგლების არსებობა აფხაზეთის ტერიტორიაზე.

აფხაზეთში ამ ტიპის ოთხი ძეგლია შემორჩენილი: ძველ გაგრაში (V-VI სს.), აბაანთის ციხეში (სოფ. ლიხნი) (VII-VIII სს.), ჯგერდაში, ქიაჩის მთაზე (VIII-IX სს.) და ამზარაში, მიუსერის კონცხზე (VII-VIII სს.). მათგან უძველესი, ძვ. გაგრის ეკლესია, კომპოზიციურ მსგავსებას ავლენს კახეთის ზოგიერთ ძეგლთან, მაგალითად, ბოლნისხევის წმ. ევსტატეს ეკლესია გრემთან, ვაზისუბნის "სამკარიანი" ეკლესია, VI ს.

აფხაზეთის სამეკლესიან ბაზილიკებს კახეთისა და ქართლის ამავე ტიპის ძეგლებისაგან განსხვავებით გარკვეული თავისებურება ახასიათებს, მაგალითად, დასავლეთი ნაწილის დაგეგმარება; თუკი აღმოსავლურ ქართულ კომპოზიციებში აქ, როგორც წესი, ღიათაღებიანი სტოაა მოთავსებული, რომელიც ერთმანეთთან გვერდით „ეკლესიებს" აკავშირებს, მიუსერასა და აბაანთაში დასავლეთით ნართექსია გამართული. მაგრამ, როგორც ლ. რჩეულიშვილი შენიშნავს, ეს ელემენტიც (ნართექსი) თვით ქართული ხუროთმოძღვრებისთვისაც არაა უცნობი (მაგ. წრომი), ამიტომაც ნართექსი, არა იმდენად წმინდა ბიზანტიურ ფორმად უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც უფრო საერთო ქრისტიანულად.

რათქმაუნდა, ამ ეკლესიების არსებობა აფხაზეთში არ შეიძლება ასახავდეს ქართლის პირდაპირ პოლიტიკურ გავლენას დასავლეთ საქართველოზე, მითუმეტეს, ცნობილია ბიზანტიის როლი იმდროისათვის, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ქართლსა და ეგრისს შორის საეკლესიო-კულტურული ერთობის არსებობას VI-VII სს-ში (ს. ჯანაშია, ზ. ალექსიძე). ამ ერთობის რეალურობის ახსნას ზ. ალექსიძე სომეხი ისტორიკოსის იოანე დრასხანაკერტელის, "მოქცევაი ქართლისაი"-სა და "ქართლის ცხოვრების" მონაცემებზე დაყრდნობით შეეცადა. ამ საეკლესიო-კულტურული ერთიანობის ფაქტობრივ საილუსტრაციო მასალად შეიძლება მივიჩნიოთ

სამეკლესიანი ბაზილიკები, რომელიც საერთოა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსთვის.

## თავი III. მთისწინა და მთიანი აფხაზეთის ძეგლები

### § 1 აფსილთა ქვეყანა – წებელდა

ისოტორიული წებელდა, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მოიცავდა საკმაოდ დიდ ტერიტორიას, სამხრეთით ესაზღვრებოდა ქედს (აპიანჩას, აგიშის, ჩიჟოუშის მთები), დასავლეთით – მდ. კელასურს, აღმოსავლეთით - მდ. კოდორს, ჩრდილოეთით - კავკასიის მთავარ ქედს. ისტორიული წებელდის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში ცნობილია 15-ზე მეტი ნასახლარი, 10 ციხე-სიმაგრე და 20 სამაროვანი. ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლები თავმოყრილია წებელდისა და აზანთის მიდამოებში მდ. კოდორის მარჯვენა სანაპიროზე. აქვეა გამოვლენილი ქლუხორისაკენ მიმავალი ძველი გზა.

აფსილეთის შიდა რაიონებში ქრისტიანობის გავრცელებაზე მიუთითებს ის მასალა, რომელიც წებელდის ნეკროპოლზე აღმოჩნდა: თიხის ჭურჭელი და მინის სასმისები ჯვრის გამოსახულებით, პატარა გულსაკიდი ჯვრები, რკინის ბეჭედი ჯვრის გამოსახულებიანი ვერცხლის საბეჭდავით, ჯვრისფორმის ფიბულები. წებელდის ნეკროპოლის სამარხთა დამხრობაში და გამართვის წესში რაიმე კანონზომიერბის დანახვა ძნელია, მით უფრო, რომ კრემაციული სამარხები აქ VII ს-მდე გვხვდება, თუმცა მეტნაკლები სიხშირით ქრისტიანული წესით გამართული სამარხებიც დასტურდება.

მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქრისტიანობის შეღწევა წებელდაში III ს. ბოლოსა და IV ს-ში ხდება (მ. თრაფში, ზ. ანჩაბაძე, გ. შამბა, მ. გუნბა, მ. ინაძე), მეორენი (ი. ვორონოვი, ა. იუშინი) უარყოფენ ამ თარიღს, და ქრისტიანობის გავრცელებას VI ს. II ნახევარსა და VII ს. უკავშირებენ.

წებელდაში ადრებიზანტიური ხანის ოთხი ეკლესიაა გათხრილი, რომელთაგან ორი (¹2 და ¹3) წებელდის სიმაგრეშია გამოვლენილი. ¹2 ეკლესია წარმოადგენს დარბაზულ ნაგებობას, ნახევარწრიული შვერილი აფსიდით, რომელსაც შიგნიდან ნალისებური ფორმა აქვს. ეკლესიას დასავლეთით ევრის ნართექსი. ეკლესიის აფსიდის ნალისებური ფორმა ანალოგს პოულობს ადრექრისტიანული ხანის აღმოსავლეთ საქართველოს და კაბადოკიის ძეგლებთან (M. Restle). ძეგლი VI ს-ის

ბოლოდ – VII ს-ის I ნახევრით თარიღდება. [13] ეკლესიაც დარბაზულ ნაგებობას წარმოადგენს ნართექსით და ნახევარწრიული აფსიდით. ეკლესიას სამხრეთით ეკვრის სამ განყოფილებიანი ბაპტისტერიუმი სადაც ჯვრის ფორმის ემბაზია გამართული. თარიღდება V-VI სს-ით (Л. Хрушкова).

წებელდის ციხის მახლობლად, ბორცვზე "შაპკა", გათხრილია გეგმაში კვადრატული ფორმის ეკლესია. ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილში მოთავსებულია გეგმაში კვადრატული ფორმის საკურთხევლის პლატფორმა საყდრის ნაშთებით ცენტრში. ეკლესია VI ს-ით თარიღდება (О. Бгажба). ტიპოლოგიურად შაპკის ეკლესია სირიისა და მესოპოტამიის ნესტორიანულ ეკლსიებს უახოვდება (Ю. Воронов, О. Бгажба, и др.).

სოფ. მრამბაში (წებელდიდან 4-7 კმ სამხრეთ-დასავლეთით) გათხრილია ადრექრისტიანული დარბაზული ეკლესია წინ გამოზიდული გარედან ხუთწახნაგოვანი და შიგნიდან ნალისებური ფორმის აფსიდით. ახლო ანალოგები ეძებნება კაბადოკიაში, Anatepe-სა (VII ს. პირველი ნახევარი) და Yedikapulus-ის (600 წ.) დარბაზული ტიპის ეკლესიებთან ხუთწახნაგოვანი აფსიდით (M. Restle). მრამბის ტაძარს უკავშირდება აქვე აღმოჩენილი ადრექრისტიანული სიუჟეტებითა და სიმბოლოებით შემკული კირქვის ფილები. ისინი სავარაუდოდ მრამბის უძველესი ეკლესიის ფუნქციონირების დროინდელია და VI-VIII სს-ით თარიღდება.

## § 2 ხაშუფსე

ხაშუფსე მდებარეობს ზღვის სანაპიროდან 30 კმ მანძილზე ჩრდილო–აღმოსავლეთით, გაგრის რ-ნში, მდ. ხაშუფსეს ხეობაში. 1967 წელს მდ. ხაშუფსეს, აჩმარდისა და ლაფსთის ხეობაში დაზვერვითი სახის სამუშაოების დროს (ს. შამბა) გამოვლინდა ადრე შუა საუკუნეთა ხანის ნამოსახლარები და სამაროვნები.

ხაშუფსეს ციხეში, რომელიც განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლს წარმოადგენს, გამოვლენილია VI ს-ის დარბაზული ტიპის ეკლესია ნახევარწრიული შვერილი აფსიდით, რომელსაც შიგნიდან ნალისებური ფორმა აქვს, დასავლეთით ეკვრის ნართექსი. თავად ხაშუფსეს ციხე, ისევე როგორც ეკლესია, არქეოლოგიურად შესწავლილი არაა. ციხიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 3 კმ მანძილზე მდებარეობს ხაშუფსეს გვიანანტიკური ხანის სამაროვანი, რომელიც 3 ჰა ფართობზე ვრცელდება. აქ გამოვლინდა დიდი ოდენობით გვიანანტიკური ხანის კერამიკის ფრაგმენტები და

რკინის შუბის პირები, რომელიც პირდაპირ ანალოგს პოულობს ამავე პერიოდის წებელდის სამაროვნის მასალასთან (С. Шамба).

ხაშუფსეს ხეობის ძეგლები შეიძლება იმის მაუწყებელი იყოს, რომ აფხაზეთი ამ დროს ჩრდილოეთ კავკასიას არა მხოლოდ კოდორის ხეობით და ქლუხორის უღელტეხილით უკავშირდებოდა, არამედ მისგან ჩრდილო-დასავლეთით არსებული ხაშუფსეს ხეობითაც.

## § 3 დრანდა

დრანდის ტაძარი მდებარეობს ქ. სოხუმიდან 18 კმ სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. კოდორის მარჯვენა სანაპიროზე, შემაღლებულ პლატოზე, სოფელ დრანდაში. ძეგლი ჯვარ-გუმბათოვან ნაგებობას წარმოადგენს. კონსტრუქციის ბირთვს გუმბათი და მისი მზიდი კედლები ქმნიან. ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში მოთავსებულია სამსხვერპლო და სადიაკვნო შიგნიდან ნახევარწრიული და გარედან სამწახნაგოვანი აფსიდით. ჯვრის აღმოსავლეთი მკლავი შიგნიდან ნახევარწრიულ, გარედან ხუთწახნაგოვან აფსიდას წარმოადგენს. სამშენებლო მასალად ძირითადად აგურია გამოყენებული, პერიფერიული და ზოგი სხვა კედლები კი აგურისა და რიყის ქვის რიგების მონაცვლეობითაა ნაგები (ვ. ცინცაძე).

დრანდის გუმბათის ყელის საძირკველსა და ყრუ გუმბათს შორის სივრცე ამოვსებული იყო 30-მდე მთელი ამფორით. მსგავსი მეთოდი გამოყენებულია განთიადის ბაზილიკის ბემის კამარასა და კონქაში. დრანდაში 7 ტიპის ამფორაა წარმოდგენილი. უმრავლესობას წელშეზნექილი ამფორები (IV-VI სს.) ქმნიან. დრანდის ტაძარში გამოვლენილი ამფორები იმდროინდელ ხმელთაშუა და შავიზღვისპირეთში საკმაოდ გავრცელებულ კერამიკულ ტარას წარმოადგენენ, მათი ქრონოლოგიური ჩარჩო IV-VII სს-ებს შორის თავსდება. გამოვლენილი ამფორების შუქზე კარგად ვლინდება ის სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები, რომელიც დასავლეთ საქართველოს, ხმელთაშუა და შავიზღვისპირეთის სახელმწიფოებს შორის უნდა არსებულიყო აღნიშნულ პერიოდში. დრანდის ტაძრის თარიღი ამფორათა ანალიზზე დაყრდნობით და მცხეთის ჯვრის თარიღის გათვალისწინებით VI ს-ის ბოლო VII ს. დასაწყისით უნდა განისაზღვროს.

## თავი IV. არქეოლოგიური მონაცემები

### § 1. სამაროვნები და სამარხთა ძირითადი ტიპები.

### ქვის სარკოფაგები

გვიანანტიკური და ადრებიზანტიური ხანის სამაროვნები თუ ცალკეული სამარხები ძირითადად ნაქალაქართა თუ ნამოსახლართა მახლობლად და ეკლესიებთან, ან უშუალოდ ეკლესიებშია გათხრილი. მათგან ყველაზე გეგმაზომიერად და სრულყოფილად ბიჭვინთის და წებელდის სამაროვნებია შესწავლილი. ფაქტიურად შეუსწავლელია ხაშუფსის, აჩმარდის, ლაფსთის სამაროვნები (ხაშუფსეს ხეობაში). რამდენადმე მცირე მასშტაბის სამაროვნები გაითხარა ეკლესიების მახლობლად ოჩამჩირესა და განთიადში. 2002 წელს აჭანდარაში, ბორცვ ცოუხუაზე, გაითხარა IV-VI სს. სამაროვანი.

გამოვლენილი სამაროვნების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ამ პერიოდის სამარხთა ძირითად ტიპებზე. სამარხთა ტიპების მრავალფეროვნებით, უპირველეს ყოვლისა, ბიჭვინთის სამაროვანი გამოირჩევა. აფხაზეთში ადრებიზანტიური ხანის სამარხთა შემდეგი ტიპებია გამოვლენილი: 1. გრუნტული ორმო სამარხები, ეს ტიპი თითქმის ყველგანაა გავრცელებული და სამარხის წამყვან ტიპს წარმოადგენს. წებელდასა და ბიჭვინთაში ამ ტიპის კრემაციული და ინჰუმაციური ფორმები თანადროულადაა წარმოდგენილი; 2. თიხის (აგურის) ფილა სამარხები (ბიჭვინთა, სოხუმი, ოჩამჩირე, განთიადი); 3. კრამიტსამარხები (ბიჭვინთა); 4. ამფორასამარხები (ბიჭვინთა); 5. კირხსნარიანი, დუღაბიანი სამარხები (ბიჭვინთა); 6. ფილაქვებით, აგურით, კრმიტითა და დუღაბით ნაგები სამარხები (სოხუმი, განთიადი, შაპკა); 7. კონგლომერატითა და ლოდებით ნაგები, გეგმაში მრგვალი, ე.წ. ჭასამარხები (ბიჭვინთა); 8. კონგლომერატითა და კვადრებით ნაშენი, გეგმაში ოთხკუთხა სამარხები, ორმოსამარხები (ბიჭვინთა); 9. ქვის ფილებით ნაგები სამარხები (განთიადი); 10. ქვის სარკოფაგები (ბიჭვინთა, სოხუმი, მრამბა, კამანი). გამოვლენილ სამაროვანთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით მთიან რეგიონში, გარკვეული კონსერვატიზმით ხასიათდება, რითაც უნდა აიხსნას დაკრძალვის წესის მრავლფეროვნება და სამარხეული ინვენტარის სიმრავლე.

აფხაზეთში ადრექრისტიანული ხანის ოთხი ქვაში კვეთილი სარკოფაგია შემორჩენილი. მათგან ორი (სოხუმი, ბიჭვინთა) ანთროპომორფული ფორმისაა, რაც ერთიორად ზრდის მათდამი ინტერესს, რადგან საქართველოს სხვა კუთხეში მსგავსი

ფორმის სარკოფაგი ჯერჯერობით გამოვლენილი არაა. ანთროპომორფული სარკოფაგის ფორმა ეგვიპტური მუმიის სარკოფაგის ფორმიდან განვითარდა (M. Buhl). იგი აქტიურად გამოიყენებოდა ანტიკურ და კლასიკურ ხანაში ხმელთაშუაზღვისპირეთში. ადრექრისტიანულ ხანაში ამ ტიპის სამარხის გამოყენება შესაძლოა გამოწვეული იყო მისი ფორმის მსგავსებით საეკლესიო ხუროთმოძღვრებასთან, მაგალითად, შეიძლება კავშირის დანახვა ანთროპომორფული სარკოფაგის აფსიდასა და ეკლესიის აფსიდას შორის. ქრისტიანული ხანის სამარხეული ძეგლების არქიტექტურასთან კავშირი თანამედროვე საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაშიც დასტურდება, მაგალითად საფლავის ქვებად მცირე ზომის, მინიატურული, ქვაში კვეთილი ეკლესიების გამოყენება (ჭობისხევი, ღარები, ვალე, წაღვერი).

ბიჭვინთის სარკოფაგი VI ს. ეკლესიაშია აღმოჩენილი, რამაც განსაზღვრა გარკვეულწილად მისი თარიღი. ამავე თარიღს ეთანხმება არსებული ანალოგები (კონსტანტინოპოლი, ცარიცინ-გრადი, პროვანსი, Čalma, Tipasa, Thélepte) (G. Koch; Л. Хрушкова; I. Nikolajević). სოხუმის სარკოფაგი აღმოჩენილია არა in situ ვითარებაში, თუმცა ტიპოლოგიურად და მასალის რაგვარობითაც იდენტურია ბიჭვინთის სარკოფაგისა და შესაძლოა, აგრეთვე, VI ს-ით დათარიღდეს.

## § 2. კერამიკა

ადრექრისტიანული სიმბოლოებით (ჯვარი, ქრიზმა) შემკული კერამიკული ნაწარმი (სამზარეულო კერამიკა), როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტული, მრავლადაა აღმოჩენილი, როგორც ზღვისპირა ისე მთიან რეგიონში ადრე შუა საუკუნეთა ხანის ფენებში: ბიჭვინთა, სოხუმი, წებელდა, აფუშთა, აზანთა, შაპკა, ათარა. იმპორტული ნაწარმი ძირითადად წითელლაკიანი ჯამებითაა წარმოდგენილი, რომელთა ძირზეც შტამპით ჯვარია დატანილი, აღმოჩენილია ბიჭვინთასა და სოხუმში IV-VI სს-თა ფენებში. მათ მრავლად ეძებნებათ ანალოგები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის (ქერსონესი, ტირიტაკა), ქრისტიანული აღმოსავლეთის (ანტიოქია, პერგამონი, Jericho, Tarsus, Abu-Mena, Ramat Rahal) და დასავლეთის ძეგლებთან (ათენის აგორა, კორინთი, კოსი) (Л. Голофаст; J. Hayes). ჯვრებით შემკული სამშენებლო

კერამიკა (კრამიტები და აგურები) ცნობილია ბიჭვინთიდან, სოხუმიდან, წებელდის ციხიდან და გიენოსიდან.

ქრისტიანული სიმბოლოებით შემკული კერამიკის გვერდიგვერდ აფხაზეთის მთიან რეგიონში უხვად გვხდება სხვაგვარი, წარმართული თუ ნეიტრალური შინაარსის მქონე ასო-ნიშნებით შემკული კერამიკა ამავე პერიოდისა. განსაკუთრებით ხშირია ხის, სვასტიკის, ცხოველების (ხარის, ცხვრის, თხის, მაღლის), ასტრალური ნიშნების, მზისა და ვარსკვლავის, სქემატური თუ რელიეფური გამოსახულება. აქ, თითქოს, წარმართული და ახალი, ქრისტიანული რელიგიის დაპირისპირებასა და ჭიდილსა აქვს ადგილი.

## § 3. მინა

IV-VI სს. ადრექრისტიანული სიმბოლოებითა და სიუჟეტებით შემკული მინის ნაწარმი სულ 5 ეგზემპლარითაა წარმოდგენილი. ამათგან ორი, წებელდაშია აღმოჩენილი აზგიძრახუს №13 ინჰუმაციურ და №44 კრემაციულ სამარხებში. ესაა ნახევარსფერული ფორმის, მოყვითალო-მომწვანო მინისგან დამზადებული სასმისი, რომელიც ფიჭისებრი და წიწვისებური ორნამენტით და წრეში ჩაწერილი ჯვრებით არის შემკული, თარიღდება IV-V ს. I ნახევრით (Н. Сорокина). ანალოგიური სასმისი ცნობილია ციხისძირიდან.

დანარჩენი 3 ეგზემპლარი ბიჭვინთაშია აღმოჩენილი და სამივე ზიარების ჭურჭელს წარმოადგენს. პირველი მათგანი პირგადაშლილი დაბალი სასმისია. შემორჩენილია ბერძნული წარწერის სამი ასო CÏ$^{2}$ და ფარშავანგის გამოსახულება. წარწერა აღდგენილია, როგორც Ï$^{2}$E ZHCHC – "შესვი იცოცხლე". სასმისის უახლოესი ანალოგია მცხეთა-სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი სასმისი ფარშავანგის და სიცოცხლის ხის გამოსახულებით და წარწერით Ï$^{2}$E ZHCHC. ორივე სასმისს ნ. უგრელიძე სირიულ იმპორტად მიიჩნევს და IV-V სს. ათარიღებს; მეორე ჭურჭლის ფრაგმენტზე მწყემსის და ბატკნის გამოსახულებაა. აღმოჩენილია ბიჭვინთის უძველესი ტაძრის აფსიდაში. თარიღდება IV ს-ით, დამუშაების ტექნიკით კიოლნის სახელოსნოს ნაწარმადაა მიჩნეული; მესამე ჭურჭელი უქუსლო სასმისს წარმოადგენს. შემორჩენილია 7 ფრაგმენტი, რომელზეც მოსასხამით შემოსილი ორი ყმაწვილია გამოსახული, სავარაუდოდ ზოდიაქოს ნიშანი ტყუპები, როგორც მაისის თვის

აღმნიშვნელი. თარიღდება V-VI სს. სასმისი სავარაუდოდ აქვილეს (სამხრეთ იტალია) სახელოსნოს ნაწარმია (ნ. უგრელიძე).

რაც შეეხება წებელდის სასმისებს, მათი ზუსტი წარმომავლობა არაა დადგენილი, ცნობილია რომ ფიჯისებრი ორნამენტით შემკული სასმისები ჩვეულებრივ სირიულ სახელოსნოებს უკავშირდება. მაგრამ, რადგანაც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ამ პერიოდში მინის ნაწარმის უჩვეულო კონცენტრაცია შეინიშნება, არაა გამორიცხული რომ ეს სასმისები ადგილობრივ, სებასტოპოლისში ან პიტიუნტში მზადდებოდა. მინის ლოკალური წარმოებით შეიძლება დასაქმებული იყვნენ რომაელი ჯარისკაცები მშვიდობიანობის პერიოდში, ან ტყვედ ჩავარდნილი ხელოსნები, ან სულაც აღმოსავლეთის პროვინციებიდან გადმოსახლებული თავისუფალი ხელოსნები. მინის ნაწარმის ძირითადი მომხმარებლები, როგორც ჩანს, ადგილობრივი ნობილიტეტი იყო.

## § 4. მცირე პლასტიკის ძეგლები

ჯვრები. აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ჯვრები ძირითადად გულსაკიდი ჯვრების სახითაა წარმოდგენილი. მიჩნეულია, რომ გულსაკიდი ჯვრების ტარების ჩვეულება ქრისტიანულ სამყაროში მხოლოდ VI ს-დან იწყება და ყველაზე უკეთ დათარიღებულ ეგზემპლარად იუსტინე I ოქროს ჯვარია (519 წ.) მიჩნეული. აფხაზეთის ჯვრები, როგორც ნამოსახლართა კულტურულ ფენებში (სოხუმი, ბიჭვინთა, ლიხნი, გიენოსი, გერზეული), ასევე სამარხეულ კომპლექსებშია (სოხუმი, ბიჭვინთა, გაგრა, ლიძავა, ხაშუფსე, წებელდა, შაპკა) გამოვლენილი. მათ მომხმარებლად, როგორც ჩანს კლერიკალური წრეები და ქრისტიანულ მსოფლმხედველობას ნაზიარები ადგილობრივი მოსახლეობა წამოადგენდა.

აბზინდები. ფერადი მინით ინკრუსტირებული ჯვრით შემკულია ბრინჯაოს აბზინდა ორი ერთეულითაა წარმოდგენილი. ერთი ქ. გაგრიდან, თარიღდება VI ს-ის მეორე ნახევრით და VII ს-ის დასაწყისით (Ю. Воронов) და აბგიძრახუს სამაროვნის [1]14 სამარხიდან, თარიღდება V ს-ით (М. Трапш). ახლო ანალოგს წარმოადგენს ჩრდილოეთ კავკასიაში მოკრაია ბალკას [1]121 კატაკომბურ სამარხში აღმოჩენილი

მოოქროვილი აბზინდა ფერადი მინით ინკრუსტირებული ტოლმკლავა ჯვრით. თარიღდება V ს-ის ბოლოო და VI ს-ის პირველი ნახევრით (Г. Афанасьев).

მშვილდსაკიძები. ქვეთავში განხილულია ჯვრისებრი მოყვანილობის მშვილდსაკინძები. მსგავსი ფიბულები აფხაზეთის სხვადასხვა პუნქტშია გამოვლენილი: გაგრა, ბიჭვინთა, ახალი ათონი, ლაფსთა, კალდახვარა, მცარა, წებელდა, შაპკა, აფუშთა, აბგიძრახუ, აჰაცარახუ, აუახუამახუ, ალრახუ, ახაჩარხუ. მათი უმრავლესობა ვერცხლის ან ბრინჯაოსგანაა დამზადებული. მათი რიცხვი რამდენიმე ათეულს აღემატება. ჯვრისებრ ფიბულებს სხვადასხვაგვარი თარიღი გააჩნია სამეცნიერო ლიტერატურაში: III-IV სს. (ი. გრძელიშვილი, მ. თრაფში, ნ. აფხაზავა), IV-V სს. (ნ. უგრელიძე), V ს. (Б. Куфтин, ვ. თოლორდავა), V-IX სს. (А. Амброз). ცნობილია შემთხვევები ამ ფორმის ფიბულის კრემაციულ სამარხშიც აღმოჩენისა, რაც სავარაუდოდ დაკრძალვის წესის კონსერვატიზმით უნდა აიხსნეს.

ჩიტის ფორმის ბრინჯაოს მშვილდსაკინძია ცნობილი შაპკის სამაროვნის [1]4 ინჰუმაციური სამარხიდან. თანმხლებ სამარხეულ ინვენტარში ერთი ვერცხლის ჯვრისებრი ფიბულაც დასტურდება. სამარხი თარიღდება VII ს-ის მეორე ნახევრით (Ю. Воронов, В. Юшин). შესაძლოა ფიბულას სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა მისი მფლობელისთვის, რადგან ჩიტი აღდგომისა და გაზაფხულის სიმბოლოა ადრინდელ ქრისტიანობაში, ისე, როგორც წარმართობის დროს.

## § 5. რელიეფური სკულპტურის ძეგლები

აფხაზეთში ქრისტიანული სიმბოლოებითა და სიუჟეტებით შემკული ადრექრისტიანული ხანის რელიეფური სკულპტურის ძეგლები გამოვლენილია ბიჭვინთაში, მრამბაში, წებელდაში, ანაკოფიაში, სოხუმში, კულამბაში, დრანდასა და გაგრაში. ეს სიმბოლოებია: ტოლმკლავა ჯვარი (გაგრა, სოხუმი, ანაკოფია, წებელდა, მრამბა, კულამბა), ვაზის მტევნები და ჩიტები (სოხუმი, კულამბა, მრამბა, წებელდა), ხარი და ლომი (სოხუმი, ანაკოფია, წებელდა), ფარშავანგი (მრამბა), თევზი (ანაკოფია), კიპარისი, პალმა თუ სიცოცხლის ხის მოტივი (სოხუმი, ანაკოფია). ეს სიმბოლოები მეტად გავრცელებულია როგორც ადრექრისტიანულ, ისე უფრო მოგვიანო ხანის ხელოვნებაში. ამ გამოსახულებათა სემანტიკაც საყოველთაოდაა

ცნობილი: ჩიტი - ქრისტიანული სული, ქრისტეს სწავლებას (მტევნები) ნაზიარები. ადრექრისტიანულ ლიტერატურაში ეს სახე მეტად მყარია და გამომდინარეობს სახარების ტექსტიდან "მე ვაზი ვარ, თქვენ კი - ლერწები" (იოანე 15,5). ფარშავანგი უკვდავებისა და აღდგომის სიმბოლოა პირვანდელ ქრისტიანებში და ა.შ.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წებელდის ბარელიეფებს, რომელიც ბიბლიური სიუჟეტებით შემკულ ადრექრისტიანული ხანის საკმაოდ ორიგინალურ ძეგლს წარმოადგენს და ამ რეგიონში აღმოსავლური გავლენის მაჩვენებელია. საინტერესო ბარელიეფია ცნობილი დრანდის ტაძრიდან, რომელზედაც შემორჩენილია სავარძელში მჯდომი ქრისტეს ფიგურა Majesta Domini-ს ტიპი.

განხილული რელიეფური სკულპტურის ძეგლები, რომელთა ქრონოლოგიური ჩარჩო VI-VIII სს. თავსდება, უტყუარ დასტურად უნდა მივიჩნიოთ აფხაზეთში აქტიური საეკლესიო მშენებლობის არსებობისა აღნიშნულ პერიოდში.

## დ ა ს კ ვ ნ ა

აფხაზეთი ძველთაგანვე ცნობილი იყო, როგორც პირველი ქრისტიანების გადასახლების ადგილი. საეკლესიო ტრადიციით აქ სამისიონერო მოღვაწეობას ეწეოდნენ ანდრია პირველწოდებული და სიმონ ქანაანელი; IV ს-ში ბიჭვინთაში უკვე არსებობდა ორგანიზაციულად გაფორმებული ადრექრისტიანული თემი, რაც არქეოლოგიური აღმოჩენებით დადასტურდა. IV-VI სს-ში ბიჭვინთასა და მის მიდამოებში 9 ქრისტიანული ტაძარი შენდება. VI ს-დან კი აქტიურად იშლება საეკლესიო მშენებლობა მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, როგორც ზღვისპირა ზოლში (განთიადი, გაგრა, ანაკოფია, მიუსერა, სოხუმი, ოჩამჩირე, გუდავა), ასევე აფხაზეთის მთისწინა და მთიან რეგიონებში (ხაშუფსე, ლიხნი, დრანდა, ჯგერდა, წებელდა, შაპკა, მრამბა). სწორედ საეკლესიო მშენებლობას უკავშირდება მრამბაში, წებელდაში, ანაკოფიაში, სოხუმში, კულამბასა და დრანდაში აღმოჩენილი ქრისტიანული სიუჟეტებით შემკული რელიეფური სკულპტურის ძეგლები.

აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ადრექრისტიანული საკულტო არქიტექტურა ძირითადად ბაზილიკური ტიპის რამდენიმე ვარიანტითაა წარმოდგენილი: ორნავიანი ბაზილიკა (ბიჭვინთა), სამნავიანი ბაზილიკა (ბიჭვინთის №2 და №3 ეკლესიები, ალაჰაძე, განთიადი, სოხუმი) და სამეკლესიანი ბაზილიკა

(გაგრა, მიუსერა, აბაანთა, ქიაჩ-აბა). გარდა ამისა, წარმოდგენილია დარბაზული ტიპის ეკლესია (ბიჭვინთა, ანაკოფია, გიენოსი, წებელდის №2 და №3 ეკლესიები, მრამბა, შაპკა, ხაშუფსე), ბაპტისტერიუმი, როგორც ცალკე მდგომი შენობა (გუდავა) და ჯვარ-გუმბათოვანი ტიპის ტაძარი (დრანდა).

აფხაზეთის ადრექრისტიანულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში კარგად ჩანს დასავლური და აღმოსავლური სამშენებლო ტრადიციებისა და ცალკეული ელემენტების შერწყმა. სამშენებლო ტექნიკის სფეროში (შერეული წყობა, ე.წ. opus mixtum, აგურის გამოყენება თაღებსა და კამარაში, ამფორები კამარაში - კონსტრუქციის შემსუბუქების მიზნით, პროკონესული დეკორატიული მარმარილოს გამოყენება) აფხაზეთის ძეგლები კონსტანტინოპოლსა და მცირე აზიის ზღვისპირა რეგიონის ძეგლებს უახლოვდება; მეორეს მხრივ, აფხაზეთის ძეგლები გარკვეულ მსგავსებას ავლენენ მცირე აზიის შიდა რეგიონთან: ხუთწახნაგოვანი აფსიდა, თლილი ქვის კვადრებით წყობის ტექნიკა, სწორკუთხა ან კვადრატული ბოძების გამოყენება, ნაცვლად კოლონებისა, ბაზილიკების ორფერდა ნივნივისებური გადახურვა.

საყურადღებო ფაქტია აფხაზეთში სამეკლესიანი ბაზილიკების არსებობა, რაც დასტურად უნდა მივიჩნიოთ ქართლსა და ეგრისს შორის არსებული საეკლესიო-კულტურული ერთიანობისა VI-VII სუკინეებში, რამაც საფუძველი შეუმზადა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიების საბოლოო გაერთიანებას IX ს-ში.

მოსახლეობის სულიერი კულტურის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან სამაროვნები. გვიანანტიკური და ადრებიზანტიური ხანის სამაროვნები, თუ ცალკეული სამარხები ძირითადად ნაქალაქართა თუ ნამოსახლართა მახლობლად (ბიჭვინთა, წებელდა, ხაშუფსე, აჩმარდა, ლაფსტა, აჭანდარა) და ეკლესიებთან, ან უშუალოდ ეკლესიებშია გამოვლენილი (განთიადი, ბიჭვინთა, სოხუმი, ანაკოფია, ოჩამჩირე), ისინი ძირითადად ქრისტიანული წესის დაცვითაა გამართული. მთიან რეგიონში გამოვლენილ სამაროვანთა დიდი ნაწილი გარკვეული კონსერვატიზმით ხასითდება, რითაც უნდა აიხსნას დაკრძალვის წესის მრავლფეროვნება და სამარხეული ინვენტარის სიმრავლე.

ზემოთ განხილული მაგალითების საფუძველზე უნდა ითქვას რომ აფხაზეთის ზღვისპირა ზოლი, გასაგები მიზეზების გამო (აქ უპირველეს ყოვლისა გეოგრაფიული ადგილ-მდებარეობა და გზების არსებობა იგულისხმება), უფრო აქტიურადაა ჩაბმული იმ ეპოქალურ მოვლენებში, რასაც ქრისტიანობის გავრცელება-დამკვიდრება ჰქვია, რადგან აქ უფრო ადვილად აღწევდა დასავლეთიდან თუ აღმოსავლეთიდან შემოსული იმპულსები; განსხვავებით მთისწინა და მთიანი რეგიონებისაგან, სადაც, მართალია, არანაკლები ინტენსივობით იგება ქრისტიანული ტაძრები, მაგრამ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი კვლავ ძველ, წარმართულ რწმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებს ინარჩუნებს. ამის საუკეთესო მაგალითია, თუნდაც, კრემაციული სამარხების არსებობა მთიან აფხაზეთში VII საუკუნემდე. მთიან რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის რელიგიურ განწყობას ყველაზე უკეთ, ალბათ, მაინც, ადგილობრივ კერამიკაზე დატანილი ქრისტიანული და ნეიტრალური შინაარსის მქონე სიმბოლოები გამოხატავს. აქ, თითქოს, წარმართული და ახალი, ქრისტიანული, რელიგიის დაპირისპირებასა და ჭიდილსა აქვს ადგილი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის განმავლობაში აზრთა სხვადასხვაობა იყო იმასთან დაკავშირებით, თუ როდის მოხდა დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ ამ ფაქტს ქართლისაგან განსხვავებით, გაცილებით გვიან, VI ს. 20-იან წლებში უნდა ჰქონოდა ადგილი (ს. ჯანაშია, ი. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ნ. ბერძენიშვილი, ვ. ლექვინაძე, დ. ლეთოდიანი). ამ მოსაზრებას თავის დროზე ს. ყაუხჩიშვილი დაუპირისპირდა, იგი წერილობით წყაროებზე (ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მონაწილეთა სია) დაყრდნობით, შეეცადა ეჩვენებინა დასავლეთ საქართველოში (ბიჭვინთა) უკვე IV ს. 20-იან წლებში მძლავრი ქრისტიანული ორგანიზაციის არსებობა, რომელიც არა მხოლოდ ქრისტიან ბერძნებს, არამედ ადგილობრივ მოსახლეობასაც გულისხმობს. უფრო მოგვიანებით, ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი მასალითაც დადასტურდა; თუმცა ბიჭვინთაში ქრისტიანობის შეღწევა III ს-შიც ივარაუდება (რ. რამიშვილი), როცა ბიჭვინთაში პირველი ქრისტიანების ფარული თემი არსებობდა, რასაც სამარხის სტელა ადასტურებს ფარული ჯვრით (გ. ლორთქიფანიძე, მ. მშვილდაძე).

ქრისტიანული გარემოს არსებობა IV საუკუნეში არა მხოლოდ ზღვისპირა ზოლში დასტურდება, არამედ შიდა ეგრისშიც (ნ. ლომოური), კერძოდ ნოქალაქევ-არქეოპოლისში, სადაც ასევე გამოვლენილია ადრეული ტაძრები (IV-V სს.), რომელთაგან უძველესი ეკლესია - დარბაზული ტიპის ნაგებობა ნახევარწრიული აფსიდით, რომლის ახლო ანალოგს სწორედ ბიჭვინთის უძველესი ტაძარი წარმოადგენს - IV ს. I ნახევრით თარიღდება (პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე). ფრიად საყურადღებო მონაპოვარია III-IV სს-ით დათარიღებული ქვაჯვარის ფრაგმენტი ორსტრიქონიანი ბერძნული წარწერით ნოქალაქევიდან (დ. ლომიტაშვილი). მიუხედავად ამ ადრეული თარიღებისა, ახალი მსოფლმხედველობის მასიურად დამკვიდრება, როგორც ზღვისპირა, ისე შიდა რეგიონებში, V ს. და უფრო VI ს-ში უნდა მომხდარიყო, სწორედ ამ თარიღის სასარგებლოდ მეტყველებს გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლების უმრავლესობა.

## დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული ნაშრომების სია:


1. აფხაზეთის ადრექრისტიანული ძეგლი (გაგრა) და კულტურული კონტაქტების საკითხი. ქრისტეშობის 2000 წლისთავისადმი მიძღვნილი გერმანულ-ქართული კოლოქვიუმი. ქრისტიანული არქეოლოგიის IV სამეცნიერო კონფერენცია. ჟურნ. ძიებანი, დამატებანი, III. თბილისი, 2000. გვ. 80-83.
2. Себастополис-Цхум – церковный центр – археологические данные. Международная научная конференция "Археология, этнология, фольклористика Кавказа". Тбилиси, 2004. გვ. 37.
3. The oldest Christian monuments and the issue of architectural liaisons at the eastern coast of the Black Sea (Western Georgia). Third International Congress on Black Sea Antiquities (Pontic Congress). The Black Sea Area and its Relationship with Ancient Central and Eastern Europe (1st Millennium BC-5th Century AD). Prague, 2005.
4. აფხაზეთის ანთროპომორფული სარკოფაგები. იბეჭდება ჟურნალ ძიებანის მე-17 ნომერში, 2006 წ.
5. აფხაზეთის სამეკლესიანი ბაზილიკები. კრებ.: მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები. თბილისი, 2005. გვ. 56-62

6. აფხაზეთის ადრე შუა საუკუნეთა ნამოსახლარები – საკულტო არქიტექტურა. შუა საუკუნეთა ხანის ქართული სოფელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, II კონფერენცია. თბილისი, 2003. გვ. 103-104.
7. აფხაზეთის ადრე შუა საუკუნეების ძეგლების ქრისტიანული სიუჟეტების შესწავლის საკითხისათვის. ქრისტიანული არქეოლოგიის VI სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი, 2002. გვ. 101-103.